

პრესრელიზი

**ბიზნეს ასოციაციის შეხვედრაზე ენერგეტიკული ბაზრის დადგენილ რეფორმებზე
იმსჯელეს**



საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის გენერალური დირექტორის მრჩვეელმა ლევან ვეფხვაძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ენერგეტიკის კომიტეტის ფარგლებში გაიმართულ შეხვედრაში. დისკუსია ელექტროენერგეტიკული ბაზრის დადგენილი რეფორმის ირგვლივ წარიმართა, კერძოდ, მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა სამინისტროს ხედვა ელექტროენერგეტიკული ბაზრის გარდამავალი (ე.წ.

ჰიბრიდული) მოდელის შესახებ, რომელიც ბაზრის მნიშვნელოვანი წილის ლიბერალიზაციას გულისხმობს. აღინიშნა, რომ ბაზრის დერეგულირება არის ერთ-ერთი ის ვალდებულება, რომელიც საქართველოს მთავრობას ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შემდეგ გაუჩნდა და, მათ შორის, გულისხმობს საბოლოო მოხმარებლის მიერ ელექტროენერჯის მიმწოდებლის არჩევის თავისუფლებას. ამასთან, ბაზრის გარდამავალი მოდელის შესაბამისად, ბინათმოსარგებლები დარჩებიან სატარიფო მომხმარებლებად, თუმცა ინდუსტრიული და კომერციული მომხმარებლების მიერ ელექტროენერჯის შესყიდვა იქნება სრულად დერეგულირებული. ამ მიზნისთვის, წლის ბოლომდე იგეგმება კანონდებლობით მიმწოდებლის ინსტიტუტის განსაზღვრა, რადგანაც აქამდე ელექტროენერჯის გადაყიდვის უფლება მხოლოდ ბაზრის კომერციულ ოპერატორს ქონდა.

ასოციაციის წევრებთან შეხვედრა აღნიშნული თემების განხილვის მიზნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის გიორგი ჩიქოვანის ინიციატივით გაიმართა.



პრესრელიზი

მანვე, კომპანიების წარმომადგენლებს ასევე აცნობა, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ნაწილობრივ გადაავადოს 1 მაისიდან მაღალი ძაბვის (35/110 კვ) საფეხურიდან ელექტროენერჯის მომხმარებელი კომპანიების პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრაციის ვალდებულება, რაც სწორედ მიმწოდებლების ინსტიტუტის არარსებობით აიხსნა. დასასრულს, კომპანიების წარმომადგენლებმა გამოხატეს მზაობა აქტიურად ითანამშრომლონ სამინისტროსთან ბაზრის რეფორმის მიმდინარებისას, თავის მხრივ, გიორგი ჩიქოვანმა გამოხატა მზაობა უზრუნველყოს რეფორმის პროცესში ბიზნესის აქტიური ჩართულობა და კომპანიების წარმომადგენლებს შესთავაზა ენერჯეტიკის შესახებ ახალი კანონპროექტის მაისის ბოლომდე საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში დეტალური განხილვა.

24.04.2018

კომპანია "ჯი-აი-ჯი" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

